ხელშეკრულება N19
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი თებერვალი 2022 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს1“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანია“ (ს/კ 445409415) წარმოდგენილი მისი დირექტორის ბაქარ ჩიტაიას სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ შპს „გაზეთი ბათუმელები“ (ს/კ 204447651) წარმოდგენილი მისი დირექტორის მზია ამაღლობელის სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი“), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანია“–ს მიერ 2022 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად, საკუთარი სახსრებით, შემსყიდველის მიერ მიწოდებული ტექსტური და ფოტო-ვიდეო მასალის (თვეში არაუმეტეს 4 (ოთხი) სტატია) გამოქვეყნება არაუმეტეს 3 (სამი) თვისა მიმწოდებლის კუთვნილ ჰიპერლოკალურ ვებგამოცემებში: **batumelebi.ge** და **netgazeti.ge** (CPV კოდი - 92400000 - ახალი ამბების სააგენტოების მომსახურებები) (შემდგომში „მომსახურება“) შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი N1-ის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში – ლარში.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 3300,00 (სამი ათას სამასი) ლარს.

2.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებული მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, რომლის გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

3. მომსახურების ხარისხი.

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და შეესაბამება ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4. მომსახურების მიწოდების პირობები

4.1 მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2022 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ შემოწმებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება–ჩაბარებას ახორციელებს შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანია“–ს ფინანსური მენეჯერი ნინო დუმბაძე.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1 მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან, მიმწოდებლის მიერ მომსახურების მიწოდებასა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების

აქტის გაფორმებიდან, ასევე მიმწოდებლის მიერ შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს მიწოდებული მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

ბ) მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების დაცვა რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) დროულად მიაწოდოს მიმწოდებელს ყველა ის ინფორმაცია და მასალა, რაც მიმწოდებელს სჭირდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების უზრუნველსაყოფად;

ბ) მიწოდებულ მასალებში არ იყოს კონკრეტულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე ბრალდებები ან/და სხვადასხვა ჯგუფის დისკრედიტაცია;

გ) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

დ) სამუშაო ან/და გამოსაქვეყნებელი მასალები გაუგზავნოს ელ. ფოსტაზე: **achikakhadze@gmail.com**;

ე) უზრუნველყოს შესყიდვის მომსახურების მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დროულად, წინასწარ შეათანხმოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დეტალები და შეთანხმებულ ვადაში გაუწიოს მომსახურება;

ბ) შემსყიდველთან შეთანხმების გარეშე ცვლილება არ შეიტანოს შეთანხმებულ სარეკლამო მასალებში, გამოქვეყნებულ მასალებს ეწერება რომ ის არის რეკლამა.

გ) დაიცვას რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები, წინააღმდეგ შემთხვევაში პასუგისმგებლობა აღნიშნულ დარღვევებზე დაეკისრება მიმწოდებელს;

დ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადების დარღვევის, ასევე წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის (მათ შორის, მიწოდების ვადების დარღვევისთვის) დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, პირგასამტეხლოს თანხა გამოქვითოს მოწოდებული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხიდან.

8.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერიდან 2023 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

13.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ტექნიკური კონტროლი.

13.2. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	**„მიმწოდებელი"**
შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანია"	შპს „გაზეთი ბათუმელები"
მის. ქ. ბათუმი, ჟიული შარტავას გამზ. N13	მის. ქ. ბათუმი, მ.აბაშიძის გამზ. N48
	სს „პროკრედიტ ბანკი"
	ბანკის კოდი MIBGGE22
	ა/ა GE31PC0033600100024265
ს/კ 445409415	ს/კ 204447651
დირექტორი	დირექტორი
ბაქარ ჩიტაია	მზია ამაღლობელი

Bakar Chitaia
Digitally signed by Bakar Chitaia
Date: 2022.02.24 11:40:50 +04'00'

Mzia Amaglobeli 61001027984
Digitally signed by Mzia Amaglobeli
Date: 2022.02.24 11:54:51

დანართი N1

ფასების ცხრილი

№	CPV კოდი და დასახელება	მომსახურების დასახელება	რაოდენობა	თვის ღირებულება	მთლიანი ღირებულება (
1	CPV კოდი - 92400000 - ახალი ამბების სააგენტოების მომსახურებები	**netgazeti.ge** - ერთ თვიანი პაკეტი არაუმეტეს 4 (ოთხი) სტატია	3	600.00	1800.00
2		**batumelebi.ge** - ერთ თვიანი პაკეტი არაუმეტეს 4 (ოთხი) სტატია	3	500.00	1500,00
ჯამი			**ლარი**		**3300.00**

შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანია“

დირექტორი

ბაქარ ჩიტაია

შპს „გაზეთი ბათუმელები“

დირექტორი

მზია ამაღლობელი